
საპროექტო ტერიტორია





სპეციალური ტერიტორიის მიწისფართი 1950 მ²

ს/ჯ 01.13.05.011.007



საპროექტო ტერიტორიის მიწისფართი 1950 მ²

ს/კ 01.13.05.011.007


01.01.854
01.01.752



ტერიტორიის 220 მ² (11.2 %) დაეთმობა მისასვლელ გზას,
რთა არ დაიტვირთოს წერეთლის გამზირი



ავტოსადგომზე შესვლა

ავტოსადგომიდან გასვლა

შენობაში ავტომობილით შესვლა და გასვლა, არ აფერხებს წერეთლის გამზირზე მოძრაობას



საცხოვრებელი ფართი
აუზი
კომერციული ფართი
საოფისე ფართი
ავტო სადგომზე მისასვლელი გზა



ს2 -ის საანგარიშო ფართი 19530/1950=10.01


ვენტილირებადი ფასადი
პომპოზიტური პანელი
პომპოზიტური პანელი
ალუმინის ვიტრაჟი
ბუნებრივი ქვა


50-52


PARKING



გეგმა 0.000 ნიშნულზე



მიწის ფართი 1950 მ²

განაშენიანების ფართი 1530.2 მ²

ა2 საანგარიშო ფართი 1118 მ²

გეგმა +4.500 ნიშნულზე



ჯ2 საანგარიშო ფართი 650 მ²

გეგმა +4.500 ნიშნულზე



ჯ2 საანგარიშო ფართი 880 მ^2

ტიპიური სართულის გეგმა



ჯ2 საანგარიშო ფართი 640 მ^2


გაზის ავარიების შეტყობინება
593 45 89 89











საქართველო

ქალაქ თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity
of Public law of Tbilisi City Hall

თბილისის არქიტექტურის სამსახური
ARCHITECTURE SERVICE OF TBILISI

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №61934-1

_____ №_____

_____ №_____

ნებართვის გაცემის თარიღი „20“ 07 2009 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 23 ივლისი 2009 წ.

ნებართვა ძალაშია 23 ივლისი 2011 წ.

შ.პ.ს. „ორიონი“ (დირექტორი მ. ლაცაბიძე)

დამკვეთი----------

(დასახელება)

მრავალფუნქციური შენობა

ობიექტი----------

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.№50-52

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№ 01 / 13 / 05 / 011 / 007

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის არქირექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7)

პროექტი შეთანხმებულია ----------

(შემთანხმებელ ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ბრძანება № ----- ----- -------2009წ;

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ. №7)

ნებართვა გაიცა ----------

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება №01/938, 20.07 2009წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური

(სახელი, გვარი)

სამსახურის მარცხენა სანაპიროს
სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)

ბ. ა.

ქ. თბილისი 0160, შ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 722222, ფაქსი: (+995 32) 378224
7, J. Shartava st. 0160 Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 722222, Fax: (+995 32) 378224

საქართველო

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქალაქ თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ARCHITECTURE SERVICE OF TBILISI

Legal Entity
of Public law of Tbilisi City Hall

ბრძანება № 01/938 "20" 07 „2009 წ.

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აკ. წერეთლის გამზირი №50-52-ში, შ.პ.ს. „ორიონი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და ნულოვან ნიშნულამდე ობიექტის მოსაწყობად მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი–შ.პ.ს. „ორიონი" (დირექტორი მერაბ ლაცაბიძე)
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „ორიონი"
ავტორი – მ. ბოლქვაძე

საშუძველი: - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882008199029; საკადასტრო №01/13/05/011/007)
- ქალაქმშენებლობითი პირობები №816; 11.09.08წ
- ქალაქ თბილისის მერის 11.06.08 წ.ლის №421 განკარგულება.

შენობის კლასი: IV

მიწის ნაკვეთის ფართი	–	1950.00 მ²
მოშენების ფართი	–	1527.4 მ²
საერთო ფართი	–	24323.6 მ²
მათ შორის:		
- ბინების ფართი (ტიხრების ჩათვლით)	–	8486.7 მ²
- არასაცხოვრებელი (კომერციული, საოფისე) ფართი	–	7719.7 მ²
- საზაფხულო ფართი	–	3102.0 მ²
- სარდაფის ფართი	–	466.1 მ²
- ავტოსადგომების ფართი	–	3944.1 მ²
- ტექნიკური სათავსების ფართი	–	605.0 მ²
სამშენებლო მოცულობა	–	97609.9 მ³
მათ შორის:		
- 0.00 ზევით	–	92102.8 მ³
- 0.00 ქვევით	–	5507.1 მ³

წარმოდგენილი პროექტი ობიექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი და მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტის ნაწილში აკმაყოფილებს ქალაქმშენებლობით პირობებს. რაც შეეხება ობიექტის არქიტექტურულ იერსახეს, წარმოდგენილი ფასადები საჭიროებს გადამუშავება-დახვეწას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, მე-100 მუხლების, მე-VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების XIII თავის, 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირებისძირითადი დებულებეის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აკ. წერეთლის გამზირი №50-52-ში, შ.პ.ს. „ორიონი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს ობიექტის ნულოვან ნიშნულამდე მოსაწყობად მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2009 წლის 23 ივლისიდან 2011 წლის 23 ივლისამდე;
4. ფასადების პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ნებართვის გაცემიდან სამი თვის განმავლობაში.
5. ფასადის პროექტი წარმოადგენს შეთანხმებული პროექტის ნაწილს და წარმოდგენისთანავე განხილულ იქნას მასთან ერთად.

– მშენებლობის ეტაპები: დაკვალვა, არსებული ნაგებობის დემონტაჟი, ხიმინჯებში არმატურისა და ბეტონის ჩასხმა, ნულოვანი ციკლის გადახურვის მონტაჟი.
– მრავალფუნქციური კომპლექსის სრულად დასრულების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობის დადგენილი წესით;
– წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის მარცხენა სანაპიროს
სანებართვო განყოფილების უფროსი – კ. ნიაური

საქმე №2/12584-11

განჩინება
საქართველოს სახელით
განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ

24 ნოემბერი 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი

განმცხადებელი: შპს ორიონი"
დირექტორი: მ. ლაცაბიძე
მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს ,,ორიონი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების საკითხი და

გამოარკვია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2011 წლის 07 ნოემბერს განცხადებით მიმართა შპს ` ორიონი~-ს დირექტორმა მ. ლაცაბიძემ და მოითხოვა საწარმოს მიმართ გადახდისუუნარეობის საქმის წარმოების დაწყება.

2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და განმცხადებელს განესაზღვრა ვადა მის შესავსებად.

2011 წლის 15 ნოემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს ორიონი"-ს დირექტორმა მ. ლაცაბიძემ, დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება. 2011 წლის 17 ნოემბრის განჩინებით განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა გაუგრძელდა 5 სამუშაო დღით.

2011 წლის 18 ნოემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს ,,ორიონი"-ს დირექტორმა და წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები.

სასამართლო გაეცნო განცხადებას და თანდართულ მასალებს, მიაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს `გადახდისუუნაროზის საქმის წარმოების შესახებ~ საქართველოს კანონის დადგენილ მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს სასამართლოს წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა `გადახდისუუნარობის საქმის წარმოების~ შესახებ საქართველოს კანონის მე-7, მე-20, 21-ე, 25-ე, 26-ე და 29-ე მუხლებით

დაადგინა:

1. შპს ,,ორიონი"-ს განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში;
2. მეურვედ დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-აღსრულების ეროვნული ბიურო.
3. აეკრძალოს შპს ,,ორიონ"-ს ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;
4. შეჩერდეს შპს ,,ორიონი"-ს მიმართ იძულებითი აღსრულება;
5. გენმარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია: შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან; დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ;
6. განემარტოს შპს ,,ორიონ"-ს, რომ იგი ვალდებულია განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინოს მეურვეს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის, ასევე განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ; მასვე განემარტოს, რომ ამ ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა გამოწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;
7. განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილი არიან განჩინების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინონ სასამართლოს და მეურვეს თავისი მოთხოვნები შპს ,,ორიონი"-ს მიმართ მათი წარმოშობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად;
8. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეული იქნას 2012 წლის 12 იანვარს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. #6, დარბაზი #21);
9. განჩინება გამოქვეყნდეს `საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში~, სასამართლოს დაფაზე და ვებ. გვერდზე;
10. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე : ლაშა ქოჩიაშვილი

51

საქმე №2/12584-11

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
რეაბილიტაციის დაწყების შესახებ

18 ივნისი 2012 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

განმცხადებელი: შპს ორიონი"
დირექტორი: მ. ლაცაბიძე
მოთხოვნა: რეაბილიტაციის წარმოების დაწყება

განიხილა შპს ,,ორიონი''-ს რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია შპს ,,ორიონი''-ს განცხადება გადახდისუნარიანობის შესახებ.

2012 წლის 28 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართეს შ.პ.ს. ,,ორიონის'' მომრიგებელი საბჭოს წევრებმა და წარმოადგინეს შპს ,,ორიონი''-ს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება შპს ,,ორიონი''-ს რეაბილიტაციის დაწყების თაობაზე. 2012 წლის 15 ივნისს წარმოადგინეს შ.პ.ს .,,ორიონის'' მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების სსიპ ,,საკანონმდებლო მაცნეში'' გამოქვეყნების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სასამართლო გაეცნო შ.პ.ს. ,,ორიონის'' მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას, მიაჩნია, რომ უნდა დაიწყოს საწარმოს რეაბილიტაცია შემდეგ გარემოებათა გამო:

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების'' შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მომრიგებელი საბჭო მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს სწავლობს შექმნიდან 30 დღის განმავლობაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გაკოტრების შესახებ, რეაბილიტაციის შესახებ ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამავე კანონის 43-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადა აითვლება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან. სასამართლოს განჩინება რეაბილიტაციის შესახებ ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.

ამავე კანონის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კრედიტორები რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ რეაბილიტაციის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა `გადახდისუუნარობის საქმის წარმოების~ შესახებ საქართველოს კანონის მე-7, მე-20, 21-ე, 25-ე, 26-ე და 29-ე მუხლებით

დაადგინა:

1. დაიწყოს შპს ,,ორიონი''ს რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

2. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში'', თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში და სასამართლოს ვებგვერდზე – WWW.TCC.GOV.GE.

3. რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადის განსაზღვრის მიზნით მოწვეული იქნას კრედიტორთა კრება 2012 წლის 22 ივნისს 15:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6, დარბაზი #21).

4. 4.განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე : ეკატერინე ცისკარიძე

საქმე №2/12584-11

58

კრედიტორთა კრების ოქმი

თბილისი

22 ივნისი 2012 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

შპს ,,ორიონის" კრედიტორთა პირველი კრება.

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

მოსამართლემ გახსნა სხდომა და გამოაცხადა განსახილველი საქმე.

მოსამართლე სიტყვას გადასცემს სხდომის მდივანს – პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად.
სასამართლო სხდომის მდივანმა მოახსენა სასამართლოს თუ მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა განსახილველ საქმეზე.
კრედიტრთა კრებაზე გამოცხადდნენ:
მოვალე შპს ,,ორიონის" წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი და მეურვე სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელი თამაზ კიკიანი (მინდობილობა ერთვის საქმეს),
კრედიტორები სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი ნინო მუმლაძე-ბარავკოვი (მინდობილობა ერთვის საქმეს),
ი.მ.ა ,,აკაკი წერეთლის გამზირი #50-52" გამგეობის წარმომადგენელი დავით ქიმუცაძე (მინდობილობა ერთვის საქმეს),
გიორგი ბუმბიაშვილი, ნინო ლომიაშვილი,
მიხეილ ბალალაშვილის წარმომადგენელი ქეთევან ბალალაშვილი (მინდობილობა ერთვის საქმეს), ზაზა გულორდავა ,რევაზ მოხვაშის წარმომადგენელი თემურ ბულისკირია,
მიხეილ ლომიძის წარმომადგენელი ნათია ლომიძე (მინდობილობა ერთვის საქმეს),
ზაზა გულორდავას წარმომადგენელი მიხეილ ელიკაშვილი, მაია გიორგაძის წარმომადგენი ვლადიმერ სანიკიძე, მიხეილ ბალალაშვილის წარმომადგენელი ქეთევან ბალალაშვილი.

კრედიტორთა კრებაზე არ გამოცხადდნენ:
მედეა სააკაშვილის, ომარ ჯაფარიძის, მერაბ ბოლქვაძის, ქეთევან ხუხუნაიშვილის, ლეილა პავლიაშვილის, მადონა მიქავას, ნინო ლომიაშვილის, ვლადიმერ გოგალაძის წარმომადგენელი როინ მიგრიაული (მინდობილობები ერთვის საქმეს).

ლეილა პავლიაშვილი, მადონა მიქავა, ვლადიმერ გოგოლაძე, მერი ვეფხვაძე, ოთარ ხუნწარია, თამილა მელითაური, მაია გიორგაძე, მედეა საკაშვილი, მიხეილ ლომიძე, ომარ ჯაფარიძე, მერაბ ბოლქვაძე, ქეთევან ხუხუნეიშვილი, 59

მოსამართლის მიერ შემოწმებული იქნა გამოცხადებულ პირთა ვინაობა და უფლებამოსილება.

მოსამართლე აფრთხილებს მხარეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

მოსამართლემ გამოაცხადა სასამართლო შემადგენლობა:
მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე,
სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე არკვევს მოსამართლის და სხდომის მდივნის აცილების საკითხს.
მხარეებს აცილება არ განუცხადებიათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად პროცესში მონაწილე მხარეებს განემარტათ საპროცესო უფლება-მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ეკითხება მხარეებს, ხომ არა აქვთ რაიმე სახის განცხადება ან შუამდგომლობა ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის თუ გამოთხოვის, აგრეთვე საქმის განხილვათან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ.

სასამართლომ ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. კრედიტორებს დაევალოთ კრედიტორთა კრებაზე წარმოადგინონ რეაბილიტაციის მართველის კანდიდატის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაცია.

2. რებეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადის განსაზღვრის მიზნით მოწვეული კრება გადაიდოს და გაგარძელდეს 2012 წლისა 28 ივნისს 12:00 საათზე.

3. საოქმო განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლემ სხდომა დახურულად გამოაცხადა, განმარტა კრების ოქმის გაცნობის და მასზე შენიშვნების წარდგენის ვადა და წესი.

სხდომა დამთავრდა 15:35 საათზე.

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძ

სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

14

საქმე №2/12584-11

კრედიტორთა კრების ოქმი

თბილისი

28 ივნისი 2012 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

შპს ,,ორიონის" კრედიტორთა კრება.

სხდომა დაიწყო 12:20 საათზე

მოსამართლემ გახსნა სხდომა და გამოაცხადა განსახილველი საქმე.

მოსამართლე სიტყვას გადასცემს სხდომის მდივანს – პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად.
სასამართლო სხდომის მდივანმა მოახსენა სასამართლოს თუ მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა განსახილველ საქმეზე.
კრედიტრთა კრებაზე გამოცხადდნენ:
ძოვალე შპს ,,ორიონის" წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი და მეურვე სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელი თამაზ კიკიანი (მინდობილობა ერთვის საქმეს),
კრედიტორები სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი გურამ კავსაძე
ი.მ.ა ,,აკაკი წერეთლის გამზირი #50-52" გამგეობის წარმომადგენელი დავით ქიმუცაძე (მინდობილობა ერთვის საქმეს),
მედეა სააკაშვილის, ომარ ჯაფარიძის, მერაბ ბოლქვაძის, ქეთევან ხუხუნეიშვილის, ლეილა პავლიაშვილის, მადონა მიქავას, ნინო ლომიაშვილის, ვლადიმერ გოგალაძის წარმომადგენელი როინ მიგრიაული (მინდობილობები ერთვის საქმეს).
გიორგი ბუმბიაშვილი, ნინო ლომიაშვილი, მერაბ ბოლქვაძე,
მიხეილ ბალალაშვილის წარმომადგენელი ქეთევან ბალალაშვილი (მინდობილობა ერთვის საქმეს), ზაზა გულორდავას წარმომადგენელი მიხეილე ელიკაშვილი, რევაზ მოხვაშის წარმომადგენელი თემურ ბულისკირია,

ახეილ ლომიძის წარმომადგენელი ნათია ლომიძე (მინდობილობა ერთვის საქმეს),
ააზა გულორდავას წარმომადგენელი მიხეილ ელიკაშვილი, **მაია გიორგაძე**, მიხეილ ბალალაშვილის წარმომადგენელი ქეთევან ბალალაშვილი.

კრედიტორთა კრებაზე არ გამოცხადდნენ:
მერი ვეფხვაძე, მაია გიორგაძე

მოსამართლის მიერ შემოწმებული იქნა გამოცხადებულ პირთა ვინაობა და უფლებამოსილება.

მოსამართლე აფრთხილებს მხარეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

მოსამართლემ გამოაცხადა სასამართლო შემადგენლობა:
ძოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე,
სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე არკვევს მოსამართლის და სხდომის მდივნის აცილების საკითხს.
მხარეებს აცილება არ განუცხადებიათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად პროცესში მონაწილე მხარეებს განემარტათ საპროცესო უფლება-მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ეკითხება მხარეებს, ხომ არა აქვთ რაიმე სახის განცხადება ან შუამდგომლობა ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის თუ გამოთხოვის, აგრეთვე საქმის განხილვათან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ.

მოსამართლემ განმარტა: საქმის მასალების მიხედვით, კერძოდ, წინა კრედიტორთა კრების ოქმის მიხედვით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გახლდათ რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა და რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადის განსაზღვრა. წინა კრედიტორთა კრება შევწყვიტეთ, რადგან არ იყო წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის კანდიდატურა. სასამართლოს აინტერესებს, დღეის მდგომარეობით, გყავთ თუ არა წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის კანდიდატურა?

მედეა სააკაშვილის, ომარ ჯაფარიძის, მერაბ ბოლქვაძის, ქეთევან ხუხუნეიშვილის, ლეილა პავლიაშვილის, მადონა მიქავას, ნინო ლომიაშვილის, ვლადიმერ გოგალაძის წარმომადგენელი როინ მიგრიაული განმარტავს.

ჩვენ გვყავს რეაბილიტაციის მმართველის კანდიდატურა შპს ,,Eurocon"-ი რომლის

დამფუძნებელს და დირექტორს წარმოადგენს ლევან აფციაური, რომელსაც კრედიტორთა უმრავლესობა შეხვდა კიდეც. რომლებიც მხარს უჭერენ შპს ,,Eurocon"-ის, კანდიდატურას და სურთ დაინიშნოს იგი მოვალე შპს "ორიონის" რეაბილიტაციის მმართველად. შპს Eurocon"-ი, რომლის დამფუძნებელს და დირექტორს წარმოადგენს ლევან აფციაური არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი აქვს შესაბამისი გამოცდილება ამ სფეროში, არის მშენებლობის პროექტის მენეჯერი და ბევრი პროექტი აქვს გაკეთებული.

მოსამართლე კითხვით მიმართავს კრედიტორებს არის თუ არა რეაბილიტაციის მმართველის სხვა კანდიდატურა წარმოდგენილი?

კრედიტორები (ერთხმად) - არა.

მოვალე შპს ,,ორიონის" წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი: როგორც ვიცი, რეაბილიტაციის მმართველის სხვა კანდიდატურა არ არსებობს და შესაბამისად, თანახმა ვარ დაინიშნოს შპს "შპს Eurocon"-ი ლევან აფციაურის წარმომადგენლობის უფლებამოსილებით რეაბილიტაციის მმართველად

.

მოსამართლის შეკითხვაზე - გაქვთ თუ არა გამოცდილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ან კონკრეტულად რეაბილიტაციის საქმის წარმოების კუთხით?
ლევან აფციაური პასუხობს - გამოცდილება მაქვს მშენებლობის სფეროში, ჩემი ძირითადი საქმიანობა მშენებლობა და მისი მართვაა. ვეცდები თავი გავართვა დაკისრებულ მოვალეობას.

მოსამართლე აცხადებს საოქმო განჩინებას:

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ კრედიტორები და კრედიტორთა გადაწყვეტილებას განჩინებით ამტკიცებს სასამართლო.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. კანონის ანალოგიის გამოყენება შეილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 27-ე, 43-ე, 44-ე, 55[1]-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ორიონის"-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 200173169 რეაბილიტაციის მმართველად დაინიშნოს შპს ,,Eurocon"-ი საიდენტიფიკაციო კოდი: 404908481 ლევან აფციაურის პირადი ნომერი: 01019000173 წარმომადგენლობის უფლებამოსილებით

2. განემარტოს რეაბილიტაციის მმართველს, რომ იგი ვალდებულია რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყება და მმართველად დანიშვნა დაარეგისტრიროს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების გამოცხადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლემ განუმარტა კრედიტორებს, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

მოსამართლე აცხადებს: "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები, იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა მომზადდეს და მომრიგებელ საბჭოს განსახილველად უნდა წარედგინოს ამ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პროექტის მომზადების ვადის განმავლობაში.

მოსამართლე ეკითხება კრედიტორებს: "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის თანახმად, ვის დაევალოს რეაბილიტაციის გეგმის მომზადება?

კრებაზე გამოცხადებულმა კრედიტორებმა ურთიერთ შეთანხმების გზით გადაწყვიტეს, რომ რეაბილატაციის გეგმის მომზადება რეაბილიტაციის მმართველად არჩეულ შპს "Eurocon"-თან ერთან, რომელსაც წარმოადგენს ლევან აფციაური, ასევე დაევალოთ მოვალეს შპს ,,ორიონს", წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი, კრედიტორებს: ი.მ.ა ,,აკაკი წერეთლის გამზირი #50-52" გამგეობას, წარმომადგენელი დავით ქიმუცაძე, ომარ ჯაფარიძეს, მერაბ ბოლქვაძეს და თამილა მელითაურს.

მოსამართლე კითხვით მიმართვას კრედიტორებს: - რამდენ ხანში შეძლებთ რეაბილიტაციის გეგმის წარმოდგენას?

კრედიტორები თანხმდებიან, რომ რეაბილიტაციის გეგმის მომზადებისთვის განსაზღვრავენ 60 დღის ვადას და თუ უფრო ადრე მოხდება რეაბილიტაციის გეგმის მომზადება დაუყოვნებლივ მოახდენენ რეაბილიტაციის გეგმის წარმოდგენას.

მოსამართლე აცხადებს: "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები, იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა მომზადდეს და მომრიგებელ საბჭოს განსახილველად უნდა წარედგინოს ამ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პროექტის მომზადების ვადის განმავლობაში, რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 27-ე, 43-44-ე, 46-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ორიონის"-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 200173169 რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადა განისაზღვროს 60 დღით;
2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადება დაევალოს რეაბილიტაციის მართველს შპს ,,Eurocon"-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 404908481 ლევან აფციაურის პირადი ნომერი: 01019000173 წარმომადგენლობის უფლებამოსილებით, მოვალეს შპს ,,ორიონს" წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი, კრედიტორებს: ი.მ.ა ,,აკაკი წერეთლის გამზირი #50-52" გამგეობას წარმომადგენელი დავით ქიმუცაძე, ომარ ჯაფარიძეს, მერაბ ბოლქვაძეს და თამილა მელითაურს;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მონაწილე მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების გამოცხადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლის შეკითხვაზე ხომ არ სურთ კრედიტორებს რაიმე განცხადების გაკეთება, კრედიტორები (წარმომადგენლები) აცხადებენ, რომ საქმის მასალებზე რაიმეს დამატება არ სურთ.

მოსამართლემ განუმარტა კრედიტორებს სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის და მასზე შენიშვნების შეტანის უფლება, წესი და ვადა.

მოსამართლემ კრედიტორთა კრება დახურულად გამოცხადა.

სხდომა დაიხურა **2012** წლის **28**ივნისს **15:48** საათზე.

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

512613 512613
გადახდის ნომერი: EN512613

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: ნანა ამისულაშვილი
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: 13001006578
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 27

განცხადება

მოვითხოვ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: 200173169

გთხოვთ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად,
ელ–ფოსტა: info@orionpalace.ge
დაარეგისტრიროთ, როგორც სუბიექტის იურიდიული მისამართი, რომელზე/რომლებზეც გაგაზავნილი ელექტრონული შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად

თანდართული დოკუმენტაცია:

- წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ამონაწერი საოქმო განჩინებიდან

არის თუ არა საწარმოს საქმიანობა დაკავშირებული:

სურსათის /ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგებასთან, საზოგადოებრივ კვების ობიექტთან

მონიშნეთ ერთერთი

☐ დიახ

☐ არა

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია
ელ–ფოსტა: info@orionpalace.ge

მომსახურების საფასური : 0 ლარი.

განმცხადებელი პირი: ----------/ ნანა ამისულაშვილი /

განცხადების წარდგენის თარიღი: 17 ივლ 2012 09:45:18

B12089254

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B12089254**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 17 ივლ 2012 09:46:17
განცხადების ნომერი: 512613
განცხადების მიღების დრო: 17 ივლ 2012 09:45:18

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ნანა ამისულაშვილი /13001006578/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

მომსახურება: 1 სამუშაო დღის ვადაში საფასურის გარეშე

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით. სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა. ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე **2405405** ან საინფორმაციო ცენტრში **09**. ინფორმაციის მიღება შეიძლება აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.reestri.gov.ge**

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: **2405405**; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიღება შეგიძლიათ "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალსა და სერვის-ცენტრში.

სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს ტელეფონის ნომერზე **0800282828**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება # B12089254/3 (17 ივლ 2012 12:45:16)

რეგისტრაციის შესახებ

სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No.B12089254; 17 ივლ 2012 09:46:17;)
განმცხადებელი: ნანა ამისულაშვილი /13001006578/
განცხადებით მოთხოვნილია: სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.
საიდენტიფიკაციო კოდი: 200173169

'საჯარო რეესტრის შესახებ' საქართველოს კანონის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	512613
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B12089254
ამონაწერის მომზადების თარიღი:	17/07/2012 12:39:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ორიონი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, კაკაბაძის ქ., №15
ელექტრონული ფოსტა:	info@orionpalace.ge
საიდენტიფიკაციო კოდი:	200173169
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	16/01/2006
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2465/001
მარეგისტრირებელი ორგანო:	საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი გლდანი-ნაძალადევის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01023001124, მერაბ ლაცაბიძე,
  დირექტორი, ,
- 404908481, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Eurocon,
  , , რეაბილიტაციის მმართველი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01023001124, მერაბ ლაცაბიძე,	100.00000000%	200173169-SH-00001

ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ

სტატუსი: მიმდინარეობს რეაბილიტაციის საქმისწარმოება

ასლია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

სხდომის ოქმი № ~~18~~

"~~24~~" ~~მაისი~~ 2017 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრები: ლაშა აბაშიძე, გიგა ნიკოლეიშვილი, ნინო ხატისკაცი, ნატო ქიტიაშვილი, ირაკლი ხუცურაული, გელა არჩვაძე, გიორგი ბაგრატიონი, ირმა ზავრადაშვილი, გიორგი კოპალეიშვილი, ბექა მიქაუტაძე, დიმიტრი ორმოცაძე, ნოდარ ტურძელაძე, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ირაკლი ხელაძე, კახაბერ გვანცელაძე, ირაკლი გვილავა, სოფია გიგანი, გაიოზ თალაკვაძე, გივი კუბლაშვილი, ია მაქაცარია, დავით მორალიშვილი, მამუკა მუმლაძე, ვალერი პაპიაშვილი, გელა ჩივიაშვილი, გიორგი წერეთელი

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი - ბადრი გიორგიძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი უკლება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირვალი მოადგილე - ვლადიმერ ჭიღლაძე

საქმის წარმოების განყოფილება №2

§34 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 24 მაისის N4 რეკომენდაციის შესახებ

/მომხს. ნ. ქიტიაშვილი /

აზრი გამოთქვეს: ს. გიგანმა, დ. ნარმანიამ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 75-ე მუხლის ,,ა.ბ", ,,ა.დ" და ,,ე.კ" ქვეპუნქტების, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 15 მაისის N5 ოქმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 24 მაისის N4 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შენობა-ნაგებობის განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის საკითხის შესწავლა.

2. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, უმოკლეს ვადაში, განხილულ იქნეს ამხანაგობა და კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების საკითხები, ასევე, შპს ,,ორიონის" კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული დავალებები და მითითებები შესრულდეს უმოკლეს ვადაში, რომლის შედეგიც წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიას უახლოეს სხდომაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის

რეკომენდაცია N4

ქ. თბილისი 24 მაისი 2017 წ.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის, მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 15 მაისის N5 ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების მიზნით და სპეციალური საშეღავათო პირობების დასადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გაეწიოს რეკომენდაცია შემდეგ საკითხებზე:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - განხილვისას კომისიის წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით, მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ეთხოვოს აშენებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის საკითხის შესწავლა;

ბ) წარმომადგენლებს დაევალოთ უახლოესი კომისიის სხდომაზე სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის საჭირო ასაშენებელი ფართის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების წარმოდგენა.

2. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - განხილვისას კომისიის წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებაზე.

3. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - განხილვისას კომისიის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია " " კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებაზე.

4. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შპს ,,ორიონის" განხილვისას კომისიის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია შპს ,,ორიონს" კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებაზე.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქალაქი თბილისი 15.05.2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომა ჩატარდა 2017 წლის 15 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ., N7.

კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის საფუძველზე.

კომისიის სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ნარმანია (შემდგომში - კომისიის სხდომის თავმჯდომარე), „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ა) კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ნარმანია;

ბ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნატო ქიტიაშვილი;

გ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სოფია გიგანი;

დ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გივი კუბლაშვილი;

ე) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე;

ვ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - კახაბერ გვანცელაძე;

ზ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი უკლება;

თ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - გიორგი გეჯაძე;

ი) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე - მამუკა ჯაყელი;

კ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა;

ლ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ზურაბ წიკლაური;

მ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე - კახაბერ ჩხარტიშვილი;

ნ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ტყემალაძე;

ო) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - ნუგზარ მალაღურაძე;

პ) კომისიის წევრი - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი - ირინე ცუხიშვილი;

ჟ) კომისიის მდივანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ნატო ნათენაძე.

საქმის წარმოების განყოფილება №2

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტზე მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის/ამხანაგობის წარმომადგენლები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომის გადაწყვეტილებაუნარიანობა დასტურდება დანართით წარმოდგენილი კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხელმოწერებით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს:

1. კომისიის N4 სხდომაზე გაცემული რეკომენდაციების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშს.
2. დაუმთავრებელი მშენებლობის შემდეგი შემთხვევების განხილვას:

ა)

ბ) ;

გ)

დ) შპს ,,ორიონი“.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გაეხსნილად გამოაცხადა.

საქმის წარმოების განყოფილება №2

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კომისიის მდივანს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) წევრს, ნატო ნათენაძეს (შემდგომში - მომხსენებელი) სთხოვა დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევებზე მოხსენების გაკეთება.

4. შპს „ორიონი“ (ს/კ: 01.13.05.011.07; მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N50-52); წარმომადგენელი: ვალერი კირკიტაძე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა სამშენებლო ობიექტზე ინფორმაცია, კერძოდ, შპს „ორიონი“ არის მრავალფუნქციური შენობა, მიწის ნაკვეთის ფართობით (მ²): 1 950 კვ.მ, საერთო ფართობით (მ²): 24 323.6 კვ.მ, განაშენიანების ფართობით (მ2): 1 527.4 კვ.მ და საცხოვრებელი ფართობით (მ²): 8 486.7 კვ.მ. სამშენებლო ობიექტი არის 22 სართულიანი. ავტოსადგომების რაოდენობა კი შეადგენს - 83 ერთეულს. სამშენებლო ობიექტის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრებია:

ა) კ-1 კოეფიციენტი: 0.8;

ბ) კ-2 კოეფიციენტი: 8.9;

გ) კ-3 კოეფიციენტი: 0.1.

წარმომადგენლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 20 ივლისის N01/938 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ა. წერეთლის N50-52-ში შპს „ორიონის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადად განისაზღვრა: 2009 წლის 23 ივლისიდან 2011 წლის 23 ივლისამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ნოემბრის (საქმე N2/12584-11) განჩინებით დაიწყო შპს „ორიონის“ (ს/კ 200173169) გაკოტრების საქმის წარმოება. 2012 წლის 18 ივნისს შპს „ორიონის“ მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაიწყო შპს „ორიონის“ რეაბილიტაციის საქმის წარმოება. 2012 წლის 28 ივნისს კრედიტორთა კრებაზე კრედიტორებმა წარადგინეს რეაბილიტაციის მმართველად შპს „Eurocon”-ი (ს/კ404908481), ლევან აფციაურის წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. ამავე კრებაზე მოხდა მმართველის დანიშვნა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2016 წლის 12 სექტემბერს მომზადებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის

ამონაწერით შპს „ორიონის“ გადახდისუუნარობის პროცესის რეაბილიტაციის საქმისწარმოება კვლავ მიმდინარეობს.

წარმომადგენლის განცხადებით, შპს „იქსორი“ (ს/კ:405047024) დაინტერესდა ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზ. N50-52-ში (ს/კ: 01.13.05.011.007) შეჩერებული ობიექტით, სადაც მიწის საერთო ფართი გახლავთ 1950 კვ.მ, ხოლო არსებული კ-2 კოეფიციენტის მიხედვით საერთო სასარგებლო ფართი - 17355 კვ.მ. ზემოხსენებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში, ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ შეადგენს 10,500 კვ.მ.-ს, რაც საერთო ფართის 60,5 პროცენტია. ინვესტორისათვის სარეალიზაციოდ რჩება მხოლოდ 39,5% (6 855 კვ.მ).

მშენებლობის თვითღირებულების გათვალისწინებით, რომელიც 1 კვ.მ-ზე საშუალოდ 250 აშშ დოლარს შეადგენს, ინვესტორის სარეალიზაციო ფართის თვითღირებულება დღგ-ს გარეშე 632 აშშ დოლარი (17355x250/6855) იქნება, რაც წერეთლის ქუჩაზე მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო ფასია.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კ-2 კოეფიციენტის მომატების შემთხვევაში, ინვესტორი - შპს „იქსორი“ იღებს ვალდებულებას დაასრულოს დაუმთავრებელი მშენებლობა და დააკმაყოფილოს დაზარალებული მობინადრეები, რომლებიც თითქმის 10 წელია საცხოვრებელ ფართს ელოდებიან. შესაბამისად, წარმომადგენელმა სთხოვა კომისიას კ-2 კოეფიციენტის 8.9-ის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება 11.00-მდე. მომატებული კოეფიციენტით სართულიანობა იზრდება - 3 სართულით, ანუ 25 სართულამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შპს „ორიონის“ განხილვისას კომისიის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია შპს „ორიონს“ კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებებისა და სპეციალური სამეღავათო პირობების დადგენის მიზნით, ამავე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევებზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ გასცა დავალება, რომ კომისიის დამსწრე წევრთა მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებული რეკომენდაციები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ მიმართა წინადადებით კომისიის წევრებს სხდომის ამ ფორმატით დასრულების თაობაზე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია

კომისიის მდივანი ნატო ნათენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის
2017 წლის 15 მაისის N5 სხდომის
დღის წესრიგი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომის დღის წესრიგია:

1. კომისიის N4 სხდომაზე გაცემული რეკომენდაციების შედეგად, გაწეული სამუშაოების ანგარიში;
2. დაუმთავრებელი მშენებლობის შემდეგი შემთხვევების განხილვა:
   ა) შპს ,, ვესთ საიდი“;
   ბ) ამხანაგობა ,,ხომტარიას ქუჩა N2ა“;
   გ) შპს "რეკონსტრუქცია პლიუსი";
   დ) შპს ,,ორიონი“.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიგა ნიკოლეიშვილი

კომისიის წევრები:

ლაშა აბაშიძე

ნატო ქიტიაშვილი

გივი კუბლაშვილი

კახაბერ გვანცელაძე

ლევან მიქავა

თამარ მათიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

გიორგი ტყემალაძე

გიორგი ბაიდარაშვილი

ნინო გვენცაძე

პაატა კვიჟინაძე

გიორგი პერტაია

ანა მიქელაძე

ირაკლი ლექვინაძე

სოფია გიგანი

მამუკა ჯაყელი

გაიოზ თალაკვაძე

გიორგი უკლება

გიორგი გეჯაძე

ზურაბ წიკლაური

გოჩა ბაბუნაშვილი

ნუგზარ მალაღურაძე

კახა ფოცხიშვილი

ირინე ცუხიშვილი

გრიგოლ კაკაურიძე

ასტამურ აჩბა